საერთაშორისო ტურნირებზე

მადრიდი. ესპანეთის ქალაქ კადისში მიმდინარე საერთაშორისო ტურნირზე თბილისის “დინამოს” ფეხბურთელებმა დაიკავეს მე-3-ე ადგილი.

პირველი მატჩი თბილისელებს ჰქონდათ ბრაზილიის ცნობილ გუნდ ”ფლამენგოსთან”. შეხვედრის ძირითადი დრო დამთავრდა ფრედ - 2:2, დამატებითმა პენალტებმა გამარჯვება მოუტანა ”ფლამენგოს”.

შემდეგ დინამოელები შეხვდნენ ”კადისს”. აქ ანგარიში მე-6-ე წუთზე ყიფიანის გადაცემით გახსნა ვ. ჟვანიამ. შემდგომში ესპანელებმა გაქვითეს გოლი და კვლავ დაინიშნა დამატებითი პენალტები. აქ უფრო ზუსტნი იყვნენ თბილისელები.

“ლელო”, 2.09.80